ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 591191525

N 148
27/03/2018

148-07-3-201803271526

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 23 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №6- 3 (სამი) ფურცელი

დასკვნა №6- 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №6

ქ.ლანჩხუთი **23.03. 2018 წელი**

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, ზურაბ კუკულავა, ალექსანდრე მახათაძე, თორნიკე ტიკაძე, ოთარ პატიეშვილი.

მოწვეული: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის მთავარი ბუღალტერი კახა ურუშაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას ესწრებოდა დეპუტატები: ვერიკო კვირკველია, კახა ბოლქვაძე, ბესიკ კუპრაძე.
კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: ირაკლი მარშანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მომართა სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ეკატერინე სისაურმა 2018 წლის 16 თებერვლის №5/9184 წერილით- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. №126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო კოდები: №27.06.51.005.01.111 და №27.06.51.005.01.112) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კაპიტალში შეტანის მიზნით.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა კომისიასა და ფრაქციას განსახილველად დაეწერა ,,საფეხბურთო სკოლისა" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის განცხადება, რომელთა მიზანსაც ცალკე სპორტული კლუბის სახით ჩამოყალიბება წარმოადგენს.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული იყო და განმარტება გააკეთა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის მთავარმა ბუღალტერმა **კახა ურუშაძემ.** მან აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლა ინტენსიურად აწარმოებდა კერძო სექტორთან მოლაპარაკებებს სასპონსორო თანხების მოზიდვის თაობაზე, თუმცა აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული სახეობების ა.(ა).იპ[-ების ირგვლივ შექმნილმა გაურკვეველმა მდგომარეობამ და მიმდინარე რეორგანიზაციამ. იგი თვლის, რომ ა.(ა)ი.პ-ი ცალკე სპორტული კლუბის სახით უნდა ჩამოყალიბდეს და ქალთა ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში დამოუკიდებლად იასპარეზოს. მისი განმარტებით სკოლის გუნდი ეროვნული პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია, ხოლო მისი 16 წარმომადგენელი სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ღირსებას იცავს.
გამომდინარე სპონსორთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე იგი თვლის და მიზანშეწონილად

მიიჩნევს, რომ...

- დაფუძნდეს სპორტული კლუბი როგორც ა(ა)ი.პ, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში. კლუბი დაკომპლექტდება ა.(ა)ი.პ გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის სატურნირო განაცხადში წარდგენილი სპორტსმენებით.
- ახლად დაფუძნებული სპორტული კლუბის ბიუჯეტის 10%-ის დაფინანსების უზრუნველყოფა მოხდება სპონსორის მიერ. იმ შემთხვევაში თუ ა(ა)ი.პ გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის 2018 წლის ბიუჯეტის სრული მოცულობა, რომელიც 70 000 ლარს შეადგენს მიმართული იქნება სპორტული კლუბის დასაფინანსებლად, საბიუჯეტო სახსრებიდან დაიხარჯება 63 000 ლარი, ხოლო 7 000 ლარი დაიფარება კერძო სექტორიდან მოზიდული თანხებით.

მისი განმარტებით მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებები მისაღები უნდა იყოს ყველა მხარისათვის. ამ ნაბიჯით საქართველოს ქალთა ფეხბურთის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი არ გაერთიანდება სპორტის სხვადასხვა სახეობების სექციებთან ერთად და მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნება მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისაკენ, ხოლო მეორე მხრივ მიღწეული იქნება - საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობა თავიდანვე მიიჩნევდა, რომ უპრიანი იქნებოდა „საფეხბურთო სკოლა", როგორც ა (ა)იპ-ი დარჩენილიყო ცალკე სუბიექტად, ვინაიდან ფეხბურთი არის სპეციფიური სახეობა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილია გურიის საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბება და სხვა სპორტულ სახეობებთან გაერთიანებაში ყოფნა შექმნიდა რიგ პრობლემებს, მაგრამ რადგანაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ყველა სპორტის სახეობა ყოფილიყო ერთ გაერთიანებაში ჩვენი მხრიდანაც მოხდა მათი გადაწყვეტილების გათვალისწინება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მან მხარი დაუჭირა ა(ა)იპ-ების გაერთიანებას. მისივე განმარტებით მისთვის თავიდანვე არ იყო ცნობილი ა.(ა)ი.პ გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის გაერთიანებაში ყოფნის შემთხვევაში ხელი შეეშლებოდა სპონსორის მოძიების საკითხს და მათი წარმატების შემთხვევაში (თუ ისინი ეროვნული ლიგიდან მოხდებოდნენ ევროპის ლიგაზე) რაიმე კუთხით მოხდებოდა მათი შეფერხება.

რაც შეეხება „საფეხბურთო სკოლას" იგი თავიდანვე უჭერდა მხარს, რომ აღნიშნული ა(ა) იპ-ი და ყველა სპორტული საფეხბურთო სახეობა ყოფილიყო ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „გურიასთან" გაერთიანებული, მაგრამ ვინაიდან ჩვენი მუშაობა ემყარება გუნდურ პრინციპებს, გამომდინარე აქედან მოხდა საერთო აზრის გათვალისწინება.

კომისიის წევრებმა ალქსანდრე მახათაძემ და ოთარ პატიეშვილმა მხარი დაუჭირა ა.(ა)ი.პ გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლის ცალკე კლუბის სახით ჩამოყალიბებას,ხოლო რაც შეეხება კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ჩახვაძეს, კახა კვიტაიშვილს, ზაალ სანაძეს, თორნიკე ტიკაძეს, ზურაბ კუკულავას, ზაზა წულაძეს ისინი არ არიან წინააღმდეგი, რომ გოგონათა ექსპერიმენტალური საფეხბურთო სკოლა ცალკე კლუბად ჩამოყალიბდეს და გამოეყოს სპორტულ ცენტრს, მაგრამ ისინი ითხოვენ მოძიებული სპონსორიდან, ასევე ფედერაციიდან დასაბუთებულ ინფორმაციას გაერთიანებაში ყოფნის შემთხვევაში თუ რა საფრთხე შეექმნება გოგონათა ექსპერიმენტალურ საფეხბურთო კლუბს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №6

23. 03. 2018 წელი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.03. 2018 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	14.00	
2	ზაზა წულაძე	14.00	
3	კარლო კვიტაიშვილი	14.00	
4	ალექსანდრე მახათაძე	14.00	
5	ზაალ სანაძე	14.00	
6	თორნიკე ტიკაძე	14.58	
7	ოთარ პატიეშვილი	14:00	
8	ზურაბ კუკულავა	14.00	
9	ირაკლი მარშანიშვილი		